ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 268

კვირა, 10 დეკემბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 268

კვირა, 10 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წიგნ-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ნინო ილარიონის ასული, მიხეილ, ილია, კონსტანტინე, ვახტანგ და ალექსანდრე ნიკოლოზის ძენი რატიშვილები, ეკატერინე ნიკოლოზის ასული, პავლე ნიკოლოზის ძე სტროევები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ქმრისას, ხოლო მეორენი ძვირფასის მამისას პოლკოვნიკის

ნიკოლოზ სოლომონის ძის რატიშვილისას,

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად 9 და 10 დეკემბერს, შუადღის 12 და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულს გამოასვენებენ ნიკოლოზის ქუჩიდამ № 15 წმ. მოციქულის თომას (კვირაცხოვლის) ეკკლესიაში კვირას, 10 დეკემბერს, დილის 9 საათზედ, ხოლო დასალავებულ იქნება სოფ. ქსოვრისში 11 დეკემბერს.

(2—258—2)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ვ. ალექსი-მესხიშვილისა და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

მ. ა. გედევანოვის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა:

I

ბრჭყალები

დრამა 3 მოქმედ. პოლერვიესი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

დავით რაბინი

კომედია 3 მოქმ., ერკმან-შატრიანისა, თარგ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩხეიძისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, გარელი; ბ-ნნი ალექსი მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმერიძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება კ. შათირიშვილის საბენეფისოდ „პატიოსნება“, ზუდერმანის ოთხ-მოქმედებიანი დრამა.

კონცერტი

გამართავს **პიანინოს დამკვრელი ს. ნ. იაკიმოვსკისა** მომღერალ-ქალის ლ. ფ. ფერტიგის მონაწილეობით, ტფილისის საკრებულოს დარბაზში, 16 დეკემბერს. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზედ. როიალი ბეკერისა. ბილეთები ყოველ დღე იყიდება საკრებულოს შვეიცართან: დილით 11—3 საათამდე, საღამოთი—7 საათიდგან. (4—262—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
„შრომის“

კრება,

რადგანაც 3 დეკემბერს არ შესდგა, დანიშნულია დღეს, 10 დეკემბერს, 1900 წ., დილის 11 საათზედ, მადათოვისეულ კუნძულზედ, ამხანაგობის ქარხანაში.

განსახილველი საგნები იქნება:

1) 1900 წლის პირველ ნახევრის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2) სამინისტროსაგან დამტკიცებულ ახალის წესდების განხილვა და მისის წესით ამხანაგობის საქმეების წარმოების დაწყება 1 იანვრიდგან 1901 წ.

3) ახალი წევრების ამორჩევა.

4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და მისი დამტკიცება.

5) ამორჩევა გამგეობის ახალის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

6) ამორჩევა რევიზიის წევრებისა და მათის კანდიდატებისა.

(1—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ბძლიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ვ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ექიმი
ნიკო ერისთავი,

ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში იღებს **ნერვებისა და შინაგან** სნეულებით **ავადმყოფთ** (გულის, ფილტვების, სტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 საათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (10—261—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

ტფილისი, 10 დეკემბერი

ბოლონდელმა დეპეშებმა ყველას ყურადღება ისევ ბურებისა და ინგლისელების ომს მიაპყრო და აღარც-კი ვისმე უნდა, რომ ჩინეთის მიერ ევროპის სახელმწიფოებთან ნათამაშევი მეტის-მეტად მოსაწყენი თვალ-ხუჭობანა გაიხსენოს. ამ რამდენისამე თვის წინად-კი იგივე ინგლის-ტრანსვაალის ომი ერთის მხრივ ჩინეთის საქმემ და მეორე მხრივ ინგლისელთა ხელოვნურად ომის ამბების ჩანელებამ, რადგანაც იმ დროს ინგლისში საპარლამენტო კრება იყო, თითქოს მთლად მიავიწყა ყველას, ყველას პირზედ ცის ქვეშეთის უზარმაზარი სახელმწიფო და მისი ევროპიელებთან წაძიძგილავება ეკერა... მაგრამ გარემოებანი მალე იცვალნენ: ინგლისმა ნელ-ნელა ისევ გაახსენა ევროპას, რომ ბურები მათს გაუმაძღარს მადას ურჩობას უწევდნენ და მორჩილებას დამოუკიდებლობას არჩევდნენ. მაგრამ სირცხვილი არ იყო განა ინგლისისათვის, რომ ერთს მუჭა ერს, სულ რაღაც 30—40 ათასის მეომარით, რომელთა უმეტესობამაც გუთნის ხელის მეტი არა იცოდა-რა, ძლევა-მოსილი 260—270 ათასოვანი ინგლისის მხედრობა ეძლია, ან-და ისე მხნედ შეჰბმოდა, რომ მთელის თვეებისა და წლების განმავლობაში არ დაჰმორჩილებოდა და ნავნებით მისი მხედრობა გაენახევრებინა? დიაღაც, და ამიტომ ინგლისმა ადრევე იზრუნა, რომ სიტყვით მაინც არის ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის სახელი ძლიერებისა არ გასტეხოდა და რაც-კი შეეძლო იტყუა და გვატყუა: სადაც ათი მოჰკლა, ასი გვაცნობა, სადაც ასი მოუკლეს, ათის მეტი ყველა დამალა; ირწმუნებოდა, რომ არსებულის საერთაშორისო წესებით ომობს და ჰუმანიურად ექცევა მტერს, მაგრამ ჯერ იყო „დუმ-დუმის“ ტყვიას აგლეჯინა მცირე მტრის საომარი ხორცი და შემდეგ განადგურებას მიჰყო ხელი, სადაც-კი, რასაკვირველია, იგი მიუწვდა: დასწვა ფერმები (მარტო აგვისტოში ინგლისელებს 500 ფერმა დაუწვავთ), დედაკაცები და ბავშვები თავისს ბინას, გერას მოჰგლიჯა და უშემწეოდ, უპატრონოდ ქალაქებში გადაასახლა და სხ... და ბოლოს, ამ რამდენისამე თვის წინად, აქაო-და ქალაქები ახლა ჩვენს ხელშიაო, რობერტსმა ომი გათავებულად გამოაცხადა და მთავრობას ურჩ რესპუბლიკელთა ინგლისთან შეერთება აუწყა. დაჰკრეს ნაღარა და იმპერიალისტთა და ბრმა ინგლისელ მამულიშვილთა აღტაცებამ იქამდის მიაღწია, რომ ბურების მიერ ყველგან დამარცხებული რობერტსის ფეხი, გენერალი ბულლერიც-კი, როგორც სამხედრო გმირი, ისე მიიღეს.

მაგრამ, თუ სიმართლე არ მიუძღვის, თუნდაც მთელს ერს, ძნელია თურმე ხალასი სიტყვითა და ოქროს ფასით საქმეთა ვითარების შეცვლა და ვისიმე მოტყუება. ბურებს, მართალია, ინგლისის ზღვა ჯარმა საქმე დიდად გაუჭირა, მაგრამ მორჩილება ფიქრადაც არავის მოჰსვლია და, როგორც ადრევე იუწყებოდნენ, ნამდვილი ომი იმ დღიდგან დაიწყეს, რა დღიდგანაც ქალაქები ინგლისელთა ხელში გადავიდა: ეს არის პარტიზანული ომი პატარ-პატარა გუნდებისა, რომელნიც მთად და ბარად ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის ყველა კუთხეში, ქვას ქვეშ, ჯაგს უკან მზად არიან, რომ მტერს სისხლი გაუშრონ და აგი აგრეც უყვეს: შებმულ ომთან შედარებით ამან უფრო მეტი ზიანი მიაყენა ინგლისელებსა. მაშასადამე, როგორცა სჩანს, ომის სურათი სულ სხვა რიგ იცვალა და სხვა საკითხი წამოაყენა. პარტიზანულს ომს დიდხანს შეუძლიან გასტანოს, მაგრამ დრო იყო საომარ ველიდგან საგანი ევროპის ერთა სამართლიან მსჯავრის წინაც წამდგარიყო და რაც იარაღით შეუძლებელი იყო გასატანად, ის სამართლით გაეტანათ... ამ აზრით ტრანსვაალის მოხუცი პრეზიდენტი ევროპაში წამოვიდა, რომ სახელმწიფოთა წინაშე თავისის ერის სამართლიანი უფლება და ძვირფასი დამოუკიდებლობა დაეცვა როგორმე და მათის დახმარებით ინგლისისათვის მედიატორეთა სამართალი მოეთხოვნა. მრავალ-ტანჯული მოხუცი კრიუგერი, რომელსაც თავისის ერის იარა საკუთარის გულით თან დააქვს, ღირსი იყო, რომ შესაფერის პატივითა და თანაგრძნობით მიეღო ევროპასა და „Vox populi, vox Dei“ „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“ გაემართლებინა, მაგრამ სახელმწიფოთ ეს ჭეშმარიტება ვერ შეასრულეს: თავისუფლების მუდმივმა დარაჯმა, დიდებულმა საფრანგეთის ერმა შესაფერის პატივითა და თანაგრძნობით მიიღო იგი, არც მთავრობამ შეაქცია ზურგი და პირ-იქით, ერთმა მისმა ორგანომ, პალატამ, კიდევაც ერთხმად გარდასწყვიტა ბურებს თანაგრძნობა გამოუცხადონ, მაგრამ, რადგანაც ინგლისმა ადრევე გარდაწყვეტილად განაცხადა, რომ არავის შუამდგომლობას არ მიიღებს, საფრანგეთის მთავრობამ სა-

მართლიანი კეთილ-შობილური მისწრაფება, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით გულში ჩაიკლა, გაჩუმებულია, თუმცა დაჰპირდა, რომ, როგორც-კი ლაპარაკს აღძრავს ვინმე, სიამოვნებით მხარს დაუჭერს. იგივე თანაგრძნობა გამოუცხადა გერმანიის ერმაც, მაგრამ — დააშავა მთავრობამ და იმპერატორმა, რომელმაც კრიუგერს მიღებაზედ უარი შეუთვალა. მაგრამ ერის სამართლიანმა გრძნობამ ვერ მოითმინა და საუკეთესო მამულის შვილთა პირით მწერლობაში და რეიხსტაგში მთავრობას საყვედური განუცხადა, რომ იგი ერის სურვილის წინააღმდეგ მოიქცა...

ასეთსავე თანაგრძნობას უჩენენ ყველა ევროპიელნი და მათ შორის ჰოლლანდიელნი უსაზღვროდ თავ-გამოდებულნი არიან, რომ მედიატორეთა სამართალი როგორმე გამოითხოვონ ბურებისათვის, მაგრამ როდის იქნება ეს, ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, თუმცა სანუგეშო ნიშნები ამ ბოლოს დროს მეტად ბევრია... აგერ ორი-სამი კვირაა, დამარცხებულმა (?) ბურებმა მტერთან ომი განახლებულის ძალით დაიწყეს და ისევ ადვილადა და ხშირად ამარცხებს ერთი მუჭა ჯარი ბურებისა, სულ რაღაც 12—14 ათასი კაცი, ინგლისელების მხედრობას, როგორც ამ 12 თვის წინად. სამარცხვინო დევნა ნოქსისა, რომელიც დევნილმა დევეტმა მთლად ცარიელზედ დასვა და კიდევაც დაამარცხა თურმე, როგორც ლონდონიდგან იუწყებიან არა ოფიციალურად, დელარეის მიერ კლემენტსის დამარცხება, ტაბანჩუსთან დევეტის მიერ მტრის ალყად მდგარ ჯარის გარღვევა, მაშინ როდესაც ინგლისელები მისს ხაფანგში გაბმას დღითი-დღე მოელოდნენ და ბურების ჯარების კაპის ახალშენში გადასვლა, სადაც ნიადაგი თითქმის მზად არის, რომ კაპის ახალშენმა იარაღი აისხას და 90,000 კაცი საომრად გამოიყვანოს, დასასრულ გუშინდელი დეპეშები, რომ კაპის ახალშენში გადასულ ბურების რიცხვი მეტად მატულობს და ახალშენის მდგომარეობა საშიშია, თუმცა დასძენენ „საბოლოოდ-კი, რასაკვირველია, საიმისოდ საშიში არა არისრაო“ და გულ-ახდილი გამოტეხვა, რომ ცხენოსანს ჯარში დიდს ნაკლულევანებასა ჰგრძნობენ და ურჩევენ მთავრობას, სადაც-კი რამ ცხენოსანი ჯარი მოეძებნება, ყველა ინგლისში გაგზავნონ, ყოველივე ეს უტყუარი საბუთია, რომ ინგლისს სახუმროდ არა აქვს საქმე გაჭირვებული და ფიქრს დიდსა ჰნახავს და გამარჯვებაც ამის შემდეგ მისთვის საეჭვო არის. აი, სწორედ ეს გარემოებაა, ჩვენის აზრით, დიდად ხელის შემწყობი, რომ ევროპის სახელმწიფოები მეგობრულად საქმეში ჩაერივნენ და ინგლისს მედიატორეთა სამართლით საქმის გათავება ურჩიონ. ინგლისი თუ დღემდის ყოველგვარს შუამდგომლობას დიდად შორს იჭერდა, ახლა უთუოდ მიიღებს, რადგანაც გონიერებას მოკლებული არ არის და კარგად უწყის, რომ თუ კაპის ახალშენიც უჯანყდა, მაშინ გამარჯვება სიზმრადაც მოენატრება, დიდის ხნით მაინც, რაიცა ჯიბე სქელს ინგლისსაც კი ძლიერ შეჰბერტყავს. ხოლო რაც შეეხება მისს ვაჭრობასა და ბაზარს, ამას ხომ გერმანიის სასიხარულოდ, რომელიც დღეს კიდეც ჰმეგობრობს და კიდეც ჰმეტოქეობს ვაჭრობა მრეწველობაში, სულ ძირს დასცემს...

ამ საქმეში ჩვენის აზრით, ყველაზედ მეტად დღევანდელს პირობებში რუსეთსა და საფრანგეთს შეუძლიანთ იქონიონ გავლენა, რომელთაც ხელს უწყობს ჯერ ერთი მეგობრული დამოკიდებულება და მეორეც საფრანგეთის მხრივ თავისუფლობის იმ თავით მფარველობა და რუსეთის მხრივ მშვიდობიანობის მოყვარეობა, რომელმაც პირველს იმპერატორს ნიკოლოზ II ჩაუსახა აზრი საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციისა.

ინ-ანი

ახალი ამბავი

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, კავკასიის მთავარ-მართებელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ამიერ-კავკასიის ბეითალთა ახალი შტატი წარუდგინა. ეს შტატი სულ 478 კაცისაგან შესდგება, რომელთაც წლიურად 321,280 მან. მოუნდება. ეს რიცხვი კავკასიის გუბერნიებზედ ასე იქნება განაწილებული: ტფილისის გუბერნიის 9 მაზრას დაენიშნება: 20 სამაზრო ბეითალი, 20 საბეითალო ფერშალი და ამდენივე ცხენოსანი საბეითალო დარაჯი (იგინივე იქმნებიან თარჯიმანებად); ქუთაისის გუბერნიის 7 მაზრასა და 3 ოლქს დაენიშნება 20 სამაზრო და 3 სასაზღვრო ბეითალი, 23 საბეითალო ფერშალი და 29 ცხენოსანი დარაჯი; ერევნის გუბერნიის 7 მაზრას: 14 სამაზრო ბეითალი, 9 ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრის ბეითალი, 23 ფერშალი და 41 ცხენოსანი დარაჯი; განჯის გუბერნიის 8 მაზრას: 16 სამაზრო და 2 საზღვრის ბეითალი, 21 ფერშალი და 31 დარაჯი; ბაქოს გუბერნიის 5 მაზრას: 13 სამაზრო და 7 საზღვრის ბეითალი, 20 ფერშალი დ 34 დარაჯი; დაღესტნის მხარის ცხრა ოლქს: 18 ბეითალი, 18 ფერშალი და ამდენივე დარაჯი; ზაქათალის ოლქს: 2 საოლქო ბეითალი, 2 საბეითალო ფერშალი და 2 საბეითალო დარაჯი-თარჯიმანი.

⁂ ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილების თანახმად, ქალაქის გამგეობამ დაუბრუნა ბელგიის უსახელო საზოგადოებას ის 300,000 მან., რომელიც მიიღო ქალაქმა 600,000 მანეთის ანგარიშში. როგორც მკითხველებმა უწყიან, ეს ფულები უსახელო საზოგადოებას სესხად უნდა მიეცა ქალაქისათვის, მაგრამ რადგანაც პირობა შესცვალა და ამ ფულების სესხობაზედ უსახელო საზოგადოებამ უარი განაცხადა, ქალაქმა 500,000 მანეთიც აღარ მიიღო.

⁂ პარასკევს, 8 დეკემბერს, ქალაქის გამგეობაში შეერთებული სხდომა მოხდა საფინანსო კომისიისა და ქალაქის გამგეობისა. კრებამ, განიხილა რა ქალაქის მომავალ წლის სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვის მე-7 §, დაადგინა: გადასდოს 38,000 მანეთი ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად და ამასთანავე ქალაქის ქუჩების შეკეთება-მოკირწყვლის საქმე თვით იკისროს გამგეობამ, თვით დაიქირაოს მუშები, ტეხნიკოსები და სხვანი. ქალაქის იაღარგების სალაროს შესანახად უნდა გადაიდვას 20,040 მანეთი, ხოლო ტეხნიკოსების, ქუჩების კეთების დროს, დასაქირავებლად 2000 მანეთი. საფინანსო კომისია და გამგეობა ვერ შეთანხმდენ იმის შესახებ, გოლოვინის პროსპექტი და მიხეილის ქუჩა თვით ქალაქმა გასწმინდოს ხოლმე, თუ სახლის პატრონებმა. გამგეობამ დაადგინა ეს საკითხი ახლო მომავალში წარუდგინოს განსახილველად ქალაქის საბჭოს.

⁂ უსახელო საზოგადოების დირექტორის რობის შუამდგომლობისა გამო, ქალაქის გამგეობამ მიანდო ქალაქის მიწის მზომელს, რომ ბ ნ რობისათვის დეპოს გასამართად ადგილი ეჩვენებინა. მიწის მზომელმა უკვე უჩვენა თავისუფალი მოედანი ავლაბარში, რომელიც გადამდებ სენით ავადმყოფთა ქალაქის სამკურნალოების ახლოს მდებარეობს. ქალაქის გამგეობამ ამის შესახებ ყველა მიწერილობანი სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს გაუგზავნა, რომელმაც თავისი აზრი უნდა წარუდგინოს გამგეობას, ვიდრე ეს უკანასკნელი დეპოს აშენებაზედ ნებას დაჰრთავდეს.

⁂ მთავრობის განკარგულებით ქუთაისში უკვე შეუდგენიათ სია იმ სავაჭრო-სამრეწველო შენობებისა, რომელზედაც 1901—1903 წწ. 2%-იანი საერობო გარდასახადია გასაწერი. ასეთი შენობები ქუთაისის მაზრაში—1,909, რომელიც დაფასებულია 480,295 მანეთად; შორაპნისაში—1,029, დაფასებულია 201,417 მან., რაჭისაში—249, დაფასებულია 46,539 მ., ლეჩხუმისაში—102, დაფასებულია 19,539 მ.,

ფელეტონი

სასაფლაოზედ

(ესკიზი)

ხშირად მიყვარს სასაფლაოზედ სიარული! ამ ვეებერთელა გაშლილ ველზედ, ვინ იცის, რამდენს სხვადასხვა სჯულისა, სარწმუნოებისა, მიმართულებისა და ცხოვრების წარმომადგენელს არ მოუყრია თავი?! შეჯგუფულან ერთად, მიჰკვრიან მჭიდროდ ერთი-მეორეს და განისვენებენ ხანგრძლივად... არ ისმის მათგან არც საყვედური, არც წუხილი, არც შური, ღალატი, მტრობა-სიძულილი... ვერა ჰნახავ მათ შორის უმადურს, ან უკმაყოფილოს... თავისის ხვედრით ყველა კმაყოფილია... ყველგან სიმშვიდე, კაცთ-მოყვარეობა, წყნარი ცხოვრება გამეფებულა... არ გესმით ბედკრულ ღარიბთა გულშემზარავი მუდმივი კვნესა... ვეღარა ჰხედავთ მათ — ქუჩა-ქუჩა შიშველ-ტიტველნი ლუკმა-პურისთვის დაძრწოდნენ... აქ არც სასამართლოა, არც მოსამართლე... ან-კი რა საჭირონი არიან?.. აქ თითქო ყველა კმაყოფილია თავისის ცხოვრებით, თავისის მდგომარეობით... აღარ გეჩხირებათ თვალებში უფროსების სიმძლავრე... სიყოყოჩე... ბუნების უხილავ ძალას ყველა გაუთანასწორებია, ყველა დაუმშვიდებია... ვერც ერთი ხმას ვერ იღებს... ტყუილად კრინტსაც ვერა სძრავს!.. ალბად ისეა მათი ცხოვრებაც მოწყობილი, რომ ყველაფერში თანასწორობა, ძმობა-ერთობა დამყარებულა. არაფერში ნაკლი, მეტ-ნაკლებობა, უფროს-უმცროსობა იქ არ არსებობს... მართლა რომ სახარბიელოა ასეთი ცხოვრება!.. ყველაფრით კმაყოფილი ხარ და განისვენებ...

მაგრამ ადამიანის გაუმაძღარს გულს ეს მაინც არ აკმაყოფილებს... ამ გვარი გათანასწორება მისის გასიებულ თავ-მოყვარეობის დამცირებაა... ამ გვარი ერთ-გვარობა და ერთ-ფერობა ხომ მისი სიდიდკაცის შემლახველია... ამის უსაზღვრო თავ-მოყვარეობას აქაც განსხვავება უნდა... აქაც დიდკაცობას, ბუმბერაზობას ამეფებს... თავის სასაფლაოც სათაყვანოდ მოურთავს-მოუკაზმია, რაღაც შიშის, მბრძანებლობის სხივ მოსაფენ მოედნად გაუხდია... აბა, მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო! დააკვირდით კარგად, მაგრამ არც ბევრი დაკვირვებაა საჭირო. აი, თქვენ თვალ-წინ აღმართული თუჯის ძეგლი ყველაფერს გეუბნებათ. მის ვინაობას ძეგლის სიდინჯე, ძლევა მოსილება თვალებში გჩრით! აბა, მიდით ახლოს! დააშტერდით ზეწარწერას! ხომ მიხვდით ვინც ყოფილა?!. ხომ დარწმუნდით მის ვინაობას?!. მაშ ეხლა იქვე, გვერდითაც მიიხედეთ!.. გახედეთ ღირსად მაგ უბრალო ხის ჯვრის ქვეშ მდებარეც?!. მიდით, წაიკითხეთ! ეგებ მაგ ხის ჯვარზედაც ეწეროს რამე?.. „აქ განისვენებს სოფლის მასწავლებელი ივანე ხათრიძე“.

საბრალო! მართლა რომ სოფლის მასწავლებელი ყოფილხარ! გეტყობა, გეტყობა საბრალო მოღვაწევ, ვინცა ხარ?! ვინ იცის, რამდენ შენებრ დაჩაგრულ პატიოსან მშრომლის ლუკმა ექნება ჩაყლაპული შენვე გვერდში მდებარე მეზობელს?! ვინ იცის, რომ შენი წვლილიც არ ურევია მის გულზედ აგებულს დიდებულს ძეგლში?! დიახ, ბევრი, ძლიერ ბევრი ცოდვები ტრიალებს მაგ დიად ძეგლის გულის სიღრმეში... მაგის ცხოვრების მატიანე სისაძაგლით იყო გარემოცული, რის მოწამეც შენც ხშირად ყოფილხარ... გული ბოღმით გისივდებოდა, ვერაფერს აკლებდი... მაგრამ იმედით-კი ამოგხდა სული, გეგონა, საიქიოს მაინც ჯეროვანი ადგილი გექმნებოდა... სიკვდილის შემდეგ მაინც ჯეროვანი დაფასება მოგეცემოდა... მაგრამ ჰოი, ბედშავო! ნეტა იცოდე?!. აქაც თურმე სტყუვდებოდი, აქაც თურმე მარტო ოცნებით იკვებებოდი!.. ნეტა გენახა, ცოცხალი ყოფილიყავ, მის გასვენების დღეს სასაფლაო დაგენახა?!. ის, ვინც მუდამ მისი მგმობელი, მძრახველი, ყველგან და ყოველთვის შურის მძიებელი იყო, — თავზედ ადგა, სიტყვას ეუბნებოდა.... ქება-დიდების გვირგვინით უმკობდა თავს... სამაგალითოდ უსახავდა ქვეყანას მისს სიმდიდრეს, ვაჟკაცობას, გამჭრიახობას!.. ქვეყანა არ დაჰკლებია... მთელი ეს ვეებერთელა სასაფლაო სავსე იყო ხალხით... სიკვდილის შემდეგ აი, ეს დიდებული ძეგლი ქვეყანას აცნობს მის ვინაობას...

შენ?! შენ, საბრალო მოღვაწევ? ნეტა იცოდე, რა რიგად გაგასვენეს?! ორი კაცი ძლივს ვიშოვნეთ შენის კუბოს გამოსატანად... შენის შეგირდების მეტს შენი სიკვდილი არც-კი არავის გაუგია... ანკი ვის შეაწუხებდა შენი დაკარგვა, თუ არ იმათ?! აი, ეგ ხის ჯვარი დედამ მოგიძღვნა!.. დიახ, ხის ჯვარი, უბრალო, მაგრამ მაჩვენებელი შენის უანგარო, გულ-წრფელ მოღვაწეობისა... ხის ჯვარი, მაგრამ გამძლე, ამტანი ყოველგვარ დაბრკოლებისა... ხის ჯვარი უმაგრესი იმ თუჯისა, რომელიც ამპარტავნულად გადმოგჯგიმვია და ერთი შეხედვით გჩრდილავს — გბატონობს!..

გამხნევდი, საბრალო?! მოვა დრო, როცა სტიქიური ძალა ამ გასიებულ სიმდიდრის ნაშთს, დიადს თუჯის ძეგლს მტვრად აქცევს-გაანადგურებს, შენი ხის ჯვარი-კი მუდამ ცოცხალი, სახელ-განთქმული, შეუბღალავი იქნება... მაგის ხსენება ქვეყნად გაქარწყლდება, აღარ იქნება, შენი ჯვარი-კი მაშინ განედლდება, ნაყოფს მოიტანს. როცა ხალხის გონება მისს ხსენებას სულ დაივიწყებს, არ წარმოიდგენს, მაშინ შენი ღვაწლ-მოსილი შრომის სხივი მთელის თვისის ძლევა-მოსილებით იქ შეაშუქებს!..

ნუ შედრკება შენი გული, ბედშავო მოღვაწევ! ნუ შეშინდები, რომ ასე უბრალოდ, მიგდებულად აქ განისვენებ?!. ყოველ შეგირდის გულში იმყოფება შენი საფლავი!.. მისი გულის ფიცარი სწევს შენის საფლავის ძეგლის მაგიერობას... ყოველ შენის შეგირდის გულის ფიცარზედ სწერია შენდა მიმართ მადლობა, ღრმა სიყვარული, მუდამ ხსოვნება!.. ნუ შეგაშინებს ნურც სიდიადე თუჯის ძეგლისა, ნურც მის თავზედ აღმართული ბრჭყვიალა ჯვარი! ეს ყველაფერი ნაყოფია პირადის შეძლებისა, სიმდიდრისა ავლადიდებისა!.. ის, რაც დაუნერგავს ამიერად დაჩაგრულთა შესაწევრად — მოსახმარებლად, ამას ნათლად გვიმტკიცებს მის გარშემო შემოკრაგნილი ეკალთა ბარდი... დღე არ წავა, არ გაჰკაფონ, არ ამოადაგონ, მაგრამ ნოყიერი საფლავის მიწა იმისს მსგავსებას ისევ სწრაფად აღმოაცენებს... მაგიერ, შენ ხის ჯვარს ვარდის ბუჩქნარი არაშიყულად გარს შემორტყმია... ცრემლების მსგავსად თვის კოკობებით ნამის ნაკადულს თავზედ გაფრქვევენ... მათს სურნელოვანებით მთვრალი ბულბული თავისის სტვენით, კრიალა ხმით შენს ამაგს შორს გაჰკივის და ქვეყანას ამცნობს!.. მაშ ესეც კმარა, ჩემო მოღვაწევ! აწ, განისვენე იმ რწმენით, რომ „შენს განწირულს სულის კვეთებას, ამაოდ არ ჩაუვლია“!.. შენგან „უვალსა“, დღეს-კი „გათელილს“ გზას მედგრად ადგიან შენი მოძმენი... ისინიც შენებრ ვაჟკაცურის სიმამაცით უკვე აღჭურვილან!.. რაც შენ ვერ მოასწარ, ის იმათ ზნეობრივ მოვალეობად გამხდარა!.. მაშ, ნუღარ ნაღვლობ, განისვენე დამშვიდებული! კვლავ მაინც ნუღარ შეგშურდება სიდიადე შენის მეზობლისა, შენის მოძმისა!..

თეოფ. ხუსკივაძე

ზუგდიდისაში—536, დაფასებულია 73,611 მან., სენაკისაში—854, დაფასებულია 177,843 მან., ოზურგეთისაში—701, დაფასებულია 81,963 მან. და ბათუმისაში—160, დაფასებულია 77,000 მან. სულ, ქუთაისის გუბერნიაში სოხუმისა და ართვინის ოლქის გარდა, სადაც ჯერ კიდევ არაა სავაჭრო-სამრეწველო შენობების სია შედგენილი, აღრიცხულია $2^0/_0$-იანი გადასახადით გასაწერი 5,542 შენობა, რომლებიც 1.178,202 მანეთად არის დაფასებული.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს ნება დაურთავს, რომ საზღვარგარეთიდგან და ქუთაისის გუბერნიის სანერგეებიდგან ამერიკის ვაზის ნერგები თავისუფლად იქმნეს გადატანილი: ქუთაისის გუბერნიის სენაკისა, ზუგდიდისა, ოზურგეთისა, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში; ტფილისის გუბერნიის სოფელ ხნტსა, წუნარსა, ცხინვალსა, კურტანეთსა, ქვიშხეთსა, ბერის-საყდარსა, ტაშისკარსა, ბალბულის ციხესა, არაშენდასა და სურამში და სხ.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი აგრონომი ლებედევი ქ. ნოვოროსიისკიდგან, სადაც მევენახეთა კრებას დაესწრო, ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში თურმე მოდის ვენახების დასათვალიერებლადა და ბლეკროტის შესასწავლად.

⁂ რადგან ბევრს აქვს სოფლად დარჩენილი ძველის სახის ხუთ მანეთიანები და თუმნიანები, ამიტომ გავახსენებთ, რომ ამ ფულის გამოცვლა შეიძლება, თუ სახელმწიფო ბანკში გაჰგზავნიან. საჭიროდ მიგვაჩნია დავსძინოთ, რომ სახელმწიფო ბანკი პეტერბურგში იმყოფება, ტფილისში მხოლოდ მისი განყოფილებაა, რომელიც უკვე გაუქმებულის სახის ქაღალდის ფულს არა სცვლის.

⁂ კავკასიის გზათა ოლქს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, აიძულონ კერძო მესაკუთრენი, რომ კოჯორის აღმართზედ თავისი მიწა გზათა ოლქს დაუთმონ.

⁂ როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ქალაქმა 1500 მან. გადასდო იმ აზრით, რომ ქალაქის სკოლების მოსწავლეებისათვის სათამაშო და სასარგებლო თავ-გასართობი რამ გაემართათ. როგორც შევიტყეთ, სასწავლებელთა კომისიას დაუდგენია, რომ ამ ფულიდგან 300 მანეთად ბუნდოვან სურათების საჩვენებელი ფარანი შეიძინონ, ხოლო 1,070 მან. ქალაქის ყველა სასწავლებლებში მომავალ დღესასწაულებში შობის ხე გამართონ.

⁂ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების შუამდგომლობა, საზოგადოების წესდების ზოგიერთა მუხლების შეცვლის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუწყნარებია.

⁂ სომხურ გაზეთ „ნორდარში" იბეჭდება ფელეტონები ჩინეთიდგან სომხეთში გადმოსახლებულ ჩინელთა შესახებ, რომელნიც შემდეგ გასომხებულან. წერილის დამწერი საქართველოზედაც დაპარაკობს და ასახელებს ჩინეთიდგან საქართველოში გადმოსახლებულთ.

⁂ ქუთაისი. 7 დეკემბერს ქალაქის თეატრის შენობაში ხელოსანთა კრება მოხდა. კრებას უნდა აერჩია ხელოსანთა მოურავი, ხელოსანთა მოურავის თანაშემწე და 40 დეპუტატი. კრება დილის 11 საათზედ გაიხსნა და გათავდა ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ. კრებას ხელოსანთა მოურავის თანაშემწე და ხელოსანთა გამგეობის ხაზინადარი ბ-ნი ი. ხოჯაშვილი თავმჯდომარეობდა. თავმჯდომარემ გამოუცხადა კრებას: გუბერნატორისაგან მოწერილობაა, რომ დღეს ხელოსანთა მოურავი, ხელოსანთა მოურავის თანაშემწე და 40 დეპუტატი აირჩიოთო. კრებამ დეპუტატების არჩევაზე უარი განაცხადა და ხელოსანთა მოურავისა და ხელოსანთა მოურავის თანაშემწის კანდიდატები წარმოადგინა. ხელოსანთაგან მოურავის კანდიდატებად წარმოდგენილნი იქმნენ: ბ-ნი ს. შნეიდერი, აბზიანიძე და ჭეიშვილი და ხელოსანთა მოურავის თანაშემწის კანდიდატებად წარმოდგენილნი იქმნენ: ს. ციბაძე, სტუბაკოვი და გვილავა. ბ-ნ შნეიდერს 103 ამოუვიდა თეთრი წინააღმდეგ 43 შავისა: აბზიანიძეს თეთრი 79, შავი 67; ჭეიშვილს თეთრი 45, შავი 101; ციბაძეს თეთრი 107, შავი 43; სტუბაკოვს თეთრი 73, შავი 73; გვილავას 46 თეთრი, 100 შავი; სიამოვნებით აღვნიშნავთ ბ-ნის შნეიდერის სიტყვებს, შეკრებულებაში წარმოთქმულს: „მე ამ სამს წელიწადს არამც თუ ჯამაგირს არ ავიღებ, პირიქით ყოველისფრით ხელოსანთა საზოგადოებას შემწეობას აღმოვუჩენ, თუ რომ თქვენც თანაგრძნობას გამიწევთ თქვენს მომავალს საკეთილ-დღეო საგნებს. გულსტკენი და სამარცხვინოა ჩვენ ქუთათურ ხელოსანთა საზოგადოებისათვის, რომ 23 წელიწადია მას შემდეგ, რაც ქუთაისში ხელოსანთა გამგეობა დაარსდა და, სამწუხაროდ, გამგეობაში მუდამ პირადის ინტერესების გარდა აღარა გაუკეთებიათ-რა". სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ბოლონდელს კრებას, რომელმაც ჩვეულებისამებრ დას-დასობა არ გამოიჩინა და შესაფერი სასარგებლო კაცი აირჩიეს ხელოსანთა მოურავად. არჩევნების დროს წეს-რიგი არავის დაურღვევია.

სამეურნეო საზოგადოების კრება

პარასკევს, 8 დეკემბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა წევრთა საზოგადო კრება საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის უკანათ. თავადის ვ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. კრებას განსახილველად წარედგინა აგრონომის ბ-ნ საავოვის ვრცელი მოხსენება წელს ახალქალაქის მაზრაში ზოგიერთ სოფლების ყანების „გოტენტოტურ ბაღლინჯოსაგან განადგურების შესახებ". როგორც საავოვის მოხსენებიდგან სჩანს, ახალ ქალაქის მაზრაში დაზარალებულია 45 სოფელი, სადაც 1884 კომლი (ანუ 17,612 სული) სცხოვრობს. დაზარალებულია „ბაღლინჯოს" და სხვა მავნე მწერებისაგან 4149 დესეტინა მიწა. მცხოვრებთა გამოსაკვებად ახალ მოსავლამდე საჭირო 176,120 ფუთი პური და ქერი ხოლო სათესლედ 142,374 ფუთი. საზოგადო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება და აგრეთვე დამსწრე წევრთა ამ საგნის გამო გამოწვეული კამათი, დაადგინა მიიღოს საჭირო ზომები მოუსავლობით დაზარალებულთა დასახმარებლად, სახელდობრ: შემოიღონ ისეთი პური და სხვა ხორბლეულობა, რომელიც ადრე ითესება და ადრევე მწიფდება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ ამ სოფლებში უმთავრესად შემოღებულ იქმნას გაზაფხულის ნათესობა, ხელი შეუწყონ ამ სოფლებში მიწის საუკეთესო შემუშავების სისტემის შემოღებას, ეცადნენ კარგ გუთნების გავრცელებას, სთხოვონ უმაღლეს მთავრობას დანიშნოს სპეციალისტი ენტომოლოგი მავნე მწერის გამოსაკვლევად, რანაირად ჩნდება და როგორ შეიძლება იმასთან ბრძოლა. გაუჩინონ დაზარალებულ სოფლების მცხოვრებთ სამუშაო; რისთვისაც ახალქალაქიდგან განჯაში და ყარსის ოლქის საზღვრებამდე გზატკეცილები უნდა იქმნას გამართული. სთხოვონ აგრეთვე ახალქალაქში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ უმთავრესს კომიტეტს განაგრძოს შემოწირულების შეკრება ახალქალაქის მაზრაში მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად და დასასრულ მიიღონ სხვა საშუალებანი „ბაღლინჯოს" ამოსაწყვეტად.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

4 დეკემბერს, სალამოს შვიდ საათზედ, საბჭომ, სხვათა შორის, ოთხი მეტად საყურადღებო საგანი განიხილა: ა) განათლების მინისტრისაგან წინადადება ჰქონდა მოცემული ქალაქს, თუ რა შემწეობა შეუძლიან მას აღმოუჩინოს სამინისტროს, რომ ქუთაისში საშუალო სამეურნეო სასწავლებელი დაარსდეს სახელოსნო განყოფილებითურთ.

ამ საქმის დაწვრილებით გამოსაკვლევად საბჭომ აირჩია ამას წინად კომისია მკურნალის დ. ა. ნაზაროვის თავმჯდომარეობით. ბ-ნის ნაზაროვის მიერ შედგენილი ვრცელი მოხსენება საბჭოში წაკითხულ იქმნა და მოწონებული. მოხსენებაში ის აზრი იყო გაყვანილი, რომ ქუთაისის გუბერნიისათვის აუცილებლივ საჭიროა სამეურნეო სასწავლებელი, რომელშიაც უნდა ისწავლებოდეს არა მხოლოდ რომელიმე დარგი მეურნეობა-ხელოსნობისა, არამედ უმრავლესი და უსაჭიროესი მათგანი: მაგ., მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა და ბალახეულობა, აბრეშუმის მოვლა, ბამბის მოყვანა, რთვა და ქსოვა, დურგლობა, მჭედლობა და სხვანი. თავისის მხრივ ქალაქი შემდეგს შემწეობას ჰპირდება: შენობებისა და ფერმის გასაშენებელს ადგილს, რამდენიც საჭირო იქნება, საღორიაზე, ეკლარის ქვასა და სილას და 25,000 მან., რომელიც ამ ჟამად ქუთაისის საურთიერთო კრედიტის ბანკში ინახება ამავე საზოგადოებისაგან სატეხნიკო ცოდნის გასავრცელებლად გადადებული. ამ თანხის გადადება ხსენებულის საგნისათვის შესაძლებლად მიაჩნიათ, რადგანაც ხსენებულ სამეურნეო სასწავლებლის პროგრამაში სატეხნიკო სწავლაც იქმნება შეტანილი. ამას გარდა საბჭომ დაადგინა, რომ ბ-ნმა ნაზაროვმა და სხვა ორმა ხმოსანმა, როგორც ქალაქის წარმომადგენლებმა კავკასიის ოლქის მზრუნველს სიტყვიერად მოახსენონ ამ საგნის საჭიროება.

ბ) ადგილობრივი საქალაქო სასწავლებლის საპედაგოგო საბჭო თხოულობდა, რომ ამ სასწავლებლისათვის სახლის დასადგმელი ადგილი ქალაქს უსასყიდლოდ დაეთმო. ამ ჟამად ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი, რომელიც თექვსმეტის განყოფილებისაგან შესდგება, მოთავსებულია ოთხს სადგომში სხვა-და-სხვა ქუჩაზე. ასეთი გარემოება სასწავლებლის ადმინისტრაციას მეტად უხერხულს მდგომარეობაში აყენებს და სწავლება-გამგეობის საქმეში ხელს უშლის.

საბჭო ამ თხოვნასაც ღირსეულად მოექცა და ერთხმად დაადგინა: თუ სასწავლებლის მთავრობა სახლის აშენებას შეუდგება, ქალაქი თავს ვალდებულად ჰრაცხს 2,000 ოთხ. კ. საჟენი მიწა დაუთმოს სილაზე, ეგრედ წოდებულის ღულაძისეულის მოედნის.

გ) ეკ. იაკობის ასული ნიკოლაძე სახალხო წარმოდგენების გამგე წრის სახელით თხოულობდა, რომ საბჭოს უსასყიდლოდ საქალაქო თეატრი თვეში ერთხელ დაეთმო. საბჭომ მხედველობაში მიიღო, რომ სახალხო წარმოდგენები, თუ რიგიანად იქმნება დაყენებული, დაბალის ხალხისათვის მეტად სასარგებლოა და თხოვნა შეიწყნარა, მაგრამ მთლად უსასყიდლოდ დათმობას ვერ დასთანხმდა და დაადგინა, რომ თითო წარმოდგენის გამართვაში 20 მანეთი გამოერთვათ.

დ) ხმოსანმა ბ-ნმა ს. თოფურიამ განაცხადა, რომ ბ-ნის ალექსი მ. გაბაშვილისთვის, რომელიც 20 წელიწადი დიდის ერთგულებით ემსახურებოდა ქალაქს, როგორც ქალაქის მოურავის მოადგილე და გამგეობის წევრი, მადლობა გამოეცხადებინა საბჭოს და ერთის წლის ჯამაგირიც ჯილდოდ მიეცათ.

საბჭომ ბ-ნის თოფურიას წინადადება ერთხმად მიიღო და გარდასწყვიტა, რომ ბ-ნ გაბაშვილს ერთგულის სამსახურისათვის მადლობა გამოეცხადოს და 1,200 მან. მიეცეს.

თეატრის მატიანე

„შენდობა" (დენიზა), დრამა დიუმასი.
„ადვოკატთან", ვოდევილი.

წარსულ ხუთშაბათს, 7 დეკემბერს, დრამატიულმა დასმა, ეფ. მესხის საბენეფისოდ, წარმოადგინა პირველად ქართულს ენაზედ დიუმას ოთხ მოქმედებიანი დრამა „შენდობა" ანუ „დენიზა". უმთავრესი გმირი ამ დრამისა დენიზაა, ახალგაზდა ქალი, ღარიბის დედ-მამის შვილი. ავტორი გვიხატავს ყოვლად პატიოსან, კეთილ-შობილს, სულითა და გულით სპეტაკ ქალს, იმდენად სპეტაკსა და კეთილ შობილს, რომ განვლილი „ცოდვაც"-კი ჩირქს ვერა სცხებს იმის პატიოსნებას.

დენიზას მამა ბრისსო (გუნია) მოურავობით ირჩენს თავს. პირველად ბრისსო ტოზეტის ქვრივთან (რენელი) ჰმსახურებდა. აი აქ შეუყვარდათ ერთმანეთი დენიზასა და ტოზეტის ახალგაზდა შვილს ფერდინანდს (შათირიშვილი). ეს პირველი სიყვარული იყო დენიზასი და ახალგაზდა ქალი გულითა და სულით მიენდო ფერდინანდს; არაფერი არ დაიშურა იმისათვის და ბოლოს, სიყვარულით გატაცებული, საყვარლადაც კი გაუხდა. ყველანი ისე უყურებდნენ ახალგაზდებს, როგორც დანიშნულთ მაგრამ დრონი იცვალნენ: გაღარიბებულმა ტოზეტის ქვრივმა მოისურვა შვილისათვის მდიდარი და ამასთან დიდის საზოგადოების ქალი შეერთო. თვით ქარაფშუტა ფერდინანდსაც მალე აიცრუა გული, მიანება თავი დენიზას და მდიდარ საცოლეს დაუწყო ძებნა. მოტყუებულმა ქალმა ბევრი ტანჯვა გამოსცადა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შვილი გაუჩნდა. ეს ამბავი მხოლოდ მოხუცმა დედამ უწყოდა. დენიზას თვალთ აეხილა, კარგად დაინახა რა კაცთანა ჰქონდა საქმე და, რასაკვირველია, ტოზეტის სახლში აღარ დადგებოდა. დენიზას მამა გრაფ დე-ბარდანთან გადავიდა სამსახურში, სადაც ისე შეეთვისნენ ამ მდიდარს, მაგრამ პატიოსან კაცს, რომ თითქმის ოჯახის წევრებად გადაიქცნენ.

პიესა აი სწორედ ამ ბარდანის (სვიმონიძე) სახლში იწყება. პირველ მოქმედებაშივე ვიტყობთ, რომ ბარდანს გაგიჟებით უყვარს დენიზა და გულით უნდა იმისი ცოლად შერთვა. მზად არის კიდეც თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, მაგრამ ამ დროს დენიზა და ფერდინანდი ხელ ახლად შეხვდებიან ერთმანეთს და საქმე სხვანაირად ტრიალდება. ბარდანსა ჰყავს ახალგაზდა და მართა (კარგარეთელი), სასწავლებლიდგან ახლად გამოსული, რომლის შერთვასაც მოწადინებულია ფერდინანდი, დენიზას წინანდელი საყვარელი. დენიზა სცდილობს, რომ მართა, ეს უმანკო, სრულიად გამოუცდელი ქალი, გარყვნილს ფერდინანდს არ მისთხოვდეს. მაგრამ მოხერხებული, გამოცდილი და გაიძვერა ტოზეტის ქვრივი ყველაფერს ახერხებს და საქმეს არიგებს: ბარდანი თანახმაა თავისი და ფერდინანდს მიათხოვოს. ბოლოს, სწორედ იმ დროს, როდესაც ბარდანი სიყვარულს უცხადებს დენიზას და სთხოვს ცოლად გამომყევიო, დენიზა ველარ ითმენს ფერდინანდის ამდენ სისაძაგლეს, საიდუმლოს უმჟღავნებს ბარდანს, უამბობს, წინად კავშირი მქონდა ფერდინანდთან, შვილი მომეცაო, და დასძენს: ასეთი ქალი, როგორიც მე ვარ, ღირსი არ არის ცოლად გამოგყვეთო, ამასთან სთხოვს, მართა აღარ მიათხოვოთ ფერდინანდსაო. ეს ამბავი თავ-ზარსა სცემს როგორც ბარდანს, აგრეთვე დენიზას მამას ბრისსოს, რომელიც კარებთან ყურს უგდებდა ქალის ლაპარაკს. მოხუცი ბრისსო თითქმის დახჩობას უპირებს ფერდინანდს. დენიზამ მართასთან ერთად გადასწყვიტა მონასტერში შესვლა, მაგრამ ამ დროს ბარდანი დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ და აგრეთვე თავისს მეგობრის პატიოსან ტუვენენის (კ. მესხი) გავლენით თანხმდება დენიზა ცოლად შეირთოს. ასე თავდება პიესა. დრამა სავსეა მშვენიერის სურათებით, მონოლოგებით და ამის გამო მაყურებელს ერთ წუთსაც არა სწყინდება და სიამოვნებით ისმენს შინაარს.

თვით პიესის წარმოდგენის შესახებ ბევრს არაფერს ვიტყვით. მსახიობთ, როგორც ეტყობოდა, შრომა არ დაეზოგათ და, იმათ სასახელოდ უნდა ვსთქვათ, პიესა კარგად იქნა წარმოდგენილი. ანსამბლი მშვენიერი იყო, რაც ეგრე იშვიათია ჩვენს სცენაზედ. კერძოდ მობენეფისემ ქ-ნმა ეფ. მესხმა მშვენივრად ჩაატარა დენიზას როლი, განსაკუთრებით ბოლოს ორს მოქმედებაში. ცოტაოდენი უფერულება მსახიობ-ქალის თამაშობას პირველ მოქმედებაში ეტყობოდა მხოლოდ.

ვოდევილში კარგად წარმოადგინეს თავიანთი როლები მხოლოდ ქ-ნთ საფაროვ აბაშიძისამ და გაბუნია-ცაგარლისამ.

გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთი

ჩინეთი. ჩინეთის საქმის კარგად მცოდნე ფონ-ბრანდტი ირწმუნება, რომ სახელმწიფოთა ზარალისა და ხარჯის ასაზღვევად საუკეთესო საშუალებად ის უნდა იყოს მიჩნეული, რომ გარედგან შემოტანილ საქონელზედ იქმნეს საბაჟო გარდასახადი მომატებული.

„უცხო სახელმწიფოებიდგან შემოტანილს საქონელზედ რომ საბაჟო გარდასახადს ერთი ორადა და ერთი სამად მოუმატებდნენ, რაიცა სამართლიანობის წინააღმდეგი სრულიადაც არ იქნებოდა, თუნდაც შემოსატან საქონლის რაოდენობამ მაშინვე იკლოს, მაშინაცკი საკმაო შემოსავალს მისცემს და ჩინეთი ადვილად შეიძლებს თუნდაც ორი იმდენი სახელმწიფო ვალი გაისტუმროს, რაც ეხლა დაეკისრება. გარდა ამისა, თვით სახელმწიფოებსაც დიდი თავ-ტკივილის მტვრევა აღარ დასჭირდებოდათ, რომ ზარალის ასაზღვევად საშუალებანი გამოეძებნათო“ და სხ.

მაგრამ ვინ არის ამის თავდები, რომ ქერა ეშმაკები მაშინვე შუაგულ ჩინეთში არ დახსნიდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებს და შინა ხელოსაქმესა და ხელოსნობას სრულიად არ განსდევნიდნენ ამის შემდეგ ფონ-ბრანდტი რჩევას იძლეოდა, რომ შემოსატან საქონელზე დადებული საბაჟო გარდასახადი 10% იქმნეს მიღებული, როგორც ეს ჩინეთის საზღვაო საბაჟოების მმართველობამ განიზრახა. ფონ-ბრანდტის აზრით, „დიკინი“ ჩინეთის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უნდა დარჩეს. მისის აზრით, უცხოეთის ვაჭრობა ამგვარს 10 პროცენტიანს წამატებას სულ ადვილად აიტანს. დასასრულ, ფონ ბრანდტს სტატისტიკური ცნობები მოჰყავს იმის შესახებ, თუ რამდენი საქონელი შეაქვთ გარედგან და მაგალითით უჩვენებს ციფრებით, თუ მომავალში რამდენად იმატებს იგი. 1893 წელს ჩინეთში შეუტანიათ: 1) ბამბეული საქონელი 45.137.970 ტაელისა; 2) შალები და მატყლის სხვა-და-სხვა საქონელი 4.587,006 ტაელისა; 3) სხვა-და-სხვა ლითონი 7,198,422 ტაელისა; 4) დანარჩენი საქონელი 62.392,927 ტაელისა, ანუ ინგლისის კურსით: 1) 9.000,000 გირვანქა სტერლინგისა (გირვ. სტერლინგი 9 მან. და 35 კაპ. უდრის); 2) 900,000 გირვანქა სტერლინგისა, 3) 1.200,000 გირვ. სტერლინგისა, 4) 10,250,000 გირვანქა სტერლინგისა და სულ 201.692,500 მანეთისა.

1899 წელს იმავე საქონლისა შემოტანილ იქმნა: 1) 15.000,000 გირვანქა სტერლინგისა, 2) 600,000 გირვანქა სტერლინგისა, 3) 1.300,000 გირვ. სტერლინგისა და 4) 16,700.000 გირვანქა სტერლინგისა.

ქვეყანა, რომელმაც იაპონიასთან ომის შემდეგ დიდ-ძალი ნაწილი თავისის ადგილებისა (კუნძული ფორმოზა) დაჰკარგა, და 50,000,000 გირვანქა სტერლინგი სახელმწიფო ვალი იკისრა, ნდობის იმედს უნდა იძლეოდეს. ერთის მხოლოდ სასურველი, რომ უცხოეთის ვაჭრობა სახელმწიფოთა მიერ ჩინეთის წინააღმდეგ მიღებულმა ზომებმა არ შეაფერხოსო და სხ.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. კიტჩენერი სწორედ უცნაურს ამბავს იუწყება ინგლისის ჯარის უკან დახევის შესახებ. მისის სიტყვით, ბურების მხრივ იერიშის მიტანის დროს გაქცეულან მხოლოდ(?) მეურმე-კაფრები და ამ რიგად მთელი სამხედრო სურსათი ბურებს დაჰრჩენიათ, მაგრამ თითონ მცველი ინგლისელები სადღა იყვნენ, ეს არავინ იცის. გენერალს ბროდვუდს არ უთმნია და ბრძოლის დროს სადღაც წასულა (?), მაგრამ სად, ესეც არავინ იცის. კიტჩენერი ახლა მილიციაში იმ ბურებს თურმე ჰკრებს, რომელნიც სრულს ნეიტრალიტეტს იცავდნენ და აიძულებს, რომ თავისს ძმების წინააღმდეგ იარაღი იხმარონ. აქ ფიცი არაფერს შუშიაო, უბნებიან თურმე ინგლისელები, რადგანაც თქვენ უკვე შემოგვიერთდით და ინგლისის ქვეშევრდომები გახდითო. იმ შემთხვევაში, თუ რომ ბურები უარს განაცხადებენ, ინგლისელები სურსათის მიყიდვას აღარ უპირებენ და ემუქრებიან, რომ შიმშილით სულს ამოჰხუთავენ. ბურების უმეტესობა ამის გამო თვისს მიწა-წყალს თავს ანებებს და სხვაგან სადმე ესახლებათ, იწერებიან ლონდონიდგან.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

დედოფალმა ვიქტორიამ სამხრეთ-აფრიკაში მყოფ ინგლისის ჯარის-კაცებს საშობაოთ შოკოლადი გაუგზავნა. ეხლაც აპირებს თურმე საჩუქარის გაგზავნას. თითო ჯარის-კაცს გაეგზავნება 100 მარკა. ამ ჟამად სამხრეთ აფრიკაში 200,000 კაცია; ამას გარდა საჩუქრები მიეცემათ ინგლისში მყოფ დაჭრილთ, აგრეთვე მოკლულთა ქვრივებსა და ობლებს. სულ დასჭირდება 30 მილიონი მარკა. აფიცრები და გენერლები ას-ას მარკაზედ მეტს მიიღებენ. რობერტსი, მაგალითად, 50,000 მარკას მიიღებს, კიტჩინერი—40,000 მარკას და სხვა.

* *

ამერიკაში ტელეფონი სოფლებშიაც-კი არის გამართული. ამას წინად ინდიანის შტატში გაუმართავთ ტელეფონი ქალაქებსა და სოფლებს შუა. ამ ტელეფონით მინდორსა და ტყეებშიაც სარგებლობენ. ეს ტელეფონი ამერიკელებმა მოხერხებულად გამართეს. ინდიანის შტატში თვალ-გადუწვდენელი მინდვრებია. სახნავ და სათიბ ადგილებს ყველგან მავთულის ღობეები აქვს შემოვლებული. რადგანაც ამ მინდვრებში სატელეფონო მავთულის გამართვას დიდ ძალი ფული მოუნდებოდა, ამიტომ ვინმე კ. ალლეიმ ღობის ზემო მავთულით ისარგებლა და ტელეფონისთვის გამოიყენა. ახალის მავთულის გამართვა აღარ მოუხდა, მხოლოდ ერთის ღობის მავთული მეორეს გადააბა და მოაწყო ტელეფონი რამდენისამე ვერსის მანძილზედ.

* * *

როგორც უკანასკნელად შეკრებილ სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, მთელ დედამიწის ზურგზედ ქვა-მაღაროებში სულ 4.355,210 კაცი მუშაობს. ყველაზედ ბევრი მაღაროს მუშა ინგლისშია—875,610 კაცი; შემდეგ გერმანიაში—498,569, შეერთებულ შტატებში—444,578, ინდოეთში—310,888, ცეილონში—310,210, საფრანგეთში—292,711, ავსტრო-უნგრეთში 219,227, ბელგიაში—160,150 და ისპანიაში—118,547 მუშა. რაც შეეხება სიმდიდრეს, დედამიწის გულიდგან ამოღებულს 1899 წელს, ამ შემთხვევაში ყველას ამერიკამ გადააჭარბა. ამერიკის ქვა-მაღაროებიდგან ამოუღიათ სულ 3 მილიარდ 586 მილიონ ფრანკის ლითონი, ინგლისის—1 მილიარდ 800 მილიონ ფრანკისა, გერმანიისა—1225 მილიონისა, საფრანგეთისა—650 მილ., ტრანსვაალისა—425 მილ., ბელგიისა—300 მილ. და ავსტრიისა—275 მილიონ ფრანკისა. კერძოდ, წინა წელს, ე. ი. 1898 წელს ოქრო ამოუღიათ მთელ დედამიწის ზურგზედ სულ 1,230,274,800 ფრანკისა, აქედგან სამხრეთ (ტრანსვაალის) ოქროს მადნებიდგან—302,028,200 ფრანკისა, შეერთებულ შტატებში—297,140,300 ფრანკისა, ანდალუზიაში—288,441,100 ფრანკისა, ინგლისის ახალშენებსა და იმ ადგილებში, რომელნიც ინგლისს ემორჩილებიან—371,302,500 ფრანკისა. აქედგან მკითხველი ადვილად მიხვდება, ტრანსვაალის შემოერთების შემდეგ რა სიმდიდრის პატრონი გახდება ინგლისი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანებანი: 1) ასის მილიონის სახელმწიფო საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის 3½%-იანი გირავნობის ფურცლების გამოცემისა და ოც-და-თხუთმეტის მილიონის მანეთის საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის 4%-იან სახელმწიფო მოწმობათა გამოცემის შესახებ.

კაპშტადტი. კაპის მთავრობის მოწოდებაში ნათქვამია, რომ რენოსტერგუკიდგან შემოსეული ბურები ეხლა შეკავებული არიან, რადგანაც სტეინბურგში ძლიერი მეციხოვნე ჯარი სდგასო. ბურებს ეხლა ძალიან გაუჭირდებათ წინ წაწევა. უკანასკნელად ისინი გამოჩნდნენ ზურის მთებში, სტეინბურგსა და ვენტერსტადტის შუა. ზანდრიფტზე გადმოსული ბურები რიცხვით 2,000 კაცია. როგორც ეტყობა, ისინი კოლსბერგში აპირობდნენ მისვლას, მაგრამ იმათ საწინააღმდეგოდ ჯარები გაიგზავნა და ბურებმა ფილიპსტუანისაკენ დაიწიეს და დაიპყრეს იგი 6-ს დეკემბერს. ჯერ-ჯერობით მცირე შეტაკების მეტი არა მომხდარა-რა, რადგანაც ბურებმა ბრიტანიის ჯარის დანახვისათანავე უკან დაიწიეს. ბენტერსდორპში ბურებმა დაატყვევეს მეციხოვნე რაზმი, რომელიც ოცის კაცისაგან შესდგებოდა. კოლსბერგის ოლქში, გამელსფონტენში ბურებმა მეციხოვნე რაზმს მორჩილება მოსთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს და ბრძოლა ასტყდა. ბრძოლამ რამდენსამე საათს გასტანა; ბოლოს ბურები უკუქცეულ იქმნენ დიდის ზარალით. ზოგიერთ ოლქებში ომიანობის დროის წეს-რიგია შემოღებული.

კაპშტადტი. კოლსბერგში ამ მოკლე ხანს სასამართლოს რამდენისამე მოღალატის საქმე უნდა განეხილა, მაგრამ რადგანაც ბურები სასამართლოს შენობას ექვსის მილის მანძილზედ მოუახლოვდნენ, სასამართლო სხვა, უფრო უშიშარს ალაგას უნდა იქმნას გადატანილი. სასამართლოს წევრნი კაპშტადტში მოვიდნენ.

კალკუტა. ოფიციალურ ჟურნალში გამოცხადებულია, რომ კლემმსი დანიშნულია რუსეთის ელჩად ბომბეიშიო. რუსეთი ინდოეთში პირველად ჰნიშნავს ელჩს.

შანჰაი. აქედგან ცინტაუში დეპეშის კაბელი—შტო გაიყვანეს.

ბერლინი. ვოლდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ შანჰაიგუანიდგან მომავალ გიუნდელის რაზმს ბრძოლა ჰქონდა პუნიალინს ახლო, საიმპერატორო აღმოსავლეთის სასაფლაოს მახლობლად, 1 დეკემბერს „დიდს მუშტთან“, რომელიც დამარცხდა და რომელსაც თხუთმეტი კაცი მოუკლეს და სამი დაუჭრეს.

ნიუ-იორკი. პეკინიდგან 7 დეკემბრის რიცხვით მიღებული დეპეშა იუწყება, რომ გუშინდელ ელჩების კრებამ დიდის მღელვარებით ჩაიარა, რადგანაც უნდოდათ შეეტყოთ, ვინ აწვდის ჩინელებს იმ ცნობებს, რომლებიც ყველა ელჩი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს. ყველა ის, რაც-კი ელჩების სხდომებზედ ხდება, ლიხუნგჩანგმა ორის საათის შემდეგ იცის თურმე. ერთობილი ნოტა ლიხუნგჩანგს და ცინს, როგორც ეტყობა, შაბათს გადაეცემა და ელჩები ამასთანავე სთხოვენ, რაც შეიძლება ადრე მოგვეცით მაგის პასუხიო. ნოტა ფრანგულს ენაზედ იქმნება დაწერილი. ელჩები კონჯერი და სატოუ ზედ დაურთავენ თარგმანს ინგლისურს ენაზედ; მიემატება აგრეთვე ჩინური თარგმანიც.

დარმშტადტი. მეორე პალატამ 22 ხმის უმეტესობით 22 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყო კელერისა და ლანგსდორფის წინადადება ინგლისისა და ბურების რესპუბლიკების საქმის მედიატორეთა სასამართლოს წესით გარდაწყვეტის შესახებ. ეს საგანი პრეზიდენტის ხმამ გადასწყვიტა. წინადადებას მხარს უჭერდნენ ყველა ანტისემიტები და სოციალ-დემოკრატები, წინააღმდეგნი იყვნენ მომეტებული ნაწილი ნაციონალ-ლიბერალ ბისა და სხვანი. წინადადების წარმომადგენლები ამ საგნის შესახებ კამათობის დაწყების წინ დარბაზიდგან გავიდნენ.

ბერლინი. ბანკირს შტენბერგს გარდაუწყვიტეს 2½ წლით დასამშვიდებელს სახლში დაპატიმრება და 5 წლით პატივის ჩამორთმევა.

ბლუმფონტეინი. დევეტმა გაიარა ტაბანჩუ-ლედიბრანდტის რკინის გზა და ფიკსბურგისაკენ გაემართა. კაპის ახალშენში შესვლით იმას საერთოდ შემდეგი ზარალი მოუვიდა: 50 კაცამდე მოუკლეს, 100 ტყვედ წაიყვანეს და წაართვეს 3 ზარბაზანი და კიდევ სხვა საომარი მასალა.

9 დეკემბერი

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი ტაბანჩუდგან 3 დეკემბრის რიცხვით გამოგზავნილს დეპეშაში ასწერს დევეტის უკან დაწევასა და ტაბანჩუს წრის გარდვევას, როდესაც დაინახა, რომ ამაოდ ეცდებოდა კაპის ახალშენში შესვლასაო; კორესპონდენტა სწერს, რომ მშვენიერი სანახავი იყო, როდესაც ბურების ჯარი, 2,500 კაცამდე, სპრინგანნეკზედ გაჭენებული და გაშლილი მოდიოდა. განსაცვიფრებელი მამაცობა ჩაიდინეს შტეინმა და პიტფურიემ, როდესაც ისინი ჰხელძღვანელობდნენ ჯარს ინგლისელთა მიერ ზარბარნებისა და თოფების სროლის დროს. საშინლად გაიმარჯვეს, თუმცა ბურებმა ორი ზარბაზანი დაჰკარგეს და 25 კაცი ტყვედ ჩაუვარდათ.

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება, რომ გიუნდელი რაზმით 7 დეკემბერს მოვიდა პეკინშიო.

ტიანძინი. პრინცის ცინის თარჯიმანი ამბობს, რომ იმპერატორმა უინპერატრიცით სინაფუ დასტოვა 6 დეკემბერს, რათა პეკინში წავიდესო.

იოჰანესბურგი. ბურები სამშაბათს, დამე, თავს დაესხნენ ზურფონტენს რკინის გზის შტოდგან იოჰანნესბურგსა და პრეტორიას შუა, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. ინგლისელებს ზარალი არა მოსვლიათ-რა.

კაპშტადტი. სტელლენბოშსა, ვორჩესტერს და ველინგტონში ამ ახლო ხანს ომიანობის დროის წეს-რიგი იქმნება შემოღებული.

კაპტტადტი. გოუტკრაალთან რკინის გზის ლიანდაგზედ ბურები, რომელნიც დეაარიდგან ჩრდილოეთით იმყოფებოდნენ, უკუ-ქცეულ იქმნენ იომანრის ჯარის მიერ. ინგლისელებს ზარალი არა მოსვლიათ-რა. ბურები დასავლეთისაკენ წავიდნენ. ძლიერი დარაჯი წავიდა ფილიპპტუნისაკენ, რათა დარწმუნებულიყო ეს ქალაქი ისევ ბურებს უჭირავთ თუ არაო. ბურებმა გაუტკრაალში ააფეთქეს წყლის მილის არხი და ტელეგრაფი დააქციეს.

მოჰანნესბურგი. ფრენჩი 6 დეკემბერს შეეტაკა ბურებს, ალბად სწორედ იმათ, რომელნიც თავს დაესხნენ კრიუგერსდორპს. ბურებს, რომელთა რიცხვი 2,500 იყო, ხუთი ზარბაზანი ჰქონდათ. მოუკვდათ რა შეტაკებაში 50 კაცი, ბურებმა უწეს-რიგოდ დაიწიეს უკან და შემდეგ სრულიად დამფრთხალნი დაიფანტნენ. ინგლისელებს 14 კაცი ჰყავთ დაჭრილი.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ სამხრეთ აფრიკის საქმეთა საზოგადო ვითარების გამო გარდაწყვეტილია მომავალ კვირას გაიგზავნოს იქ 800 ქვეითა ჯარის კაცი ცხენებით. ორი ცხენოსანი რაზმი გაიგზავნება მაშინვე, მზად იქმნება თუ არა გემი. ამავე დროს ახალ ზელანდიის ავსტრალიელებს წინადადებული აქვთ გაჰგზავნონ ერთი რაზმი ცხენოსანის ჯარისა.

შანჰაი. ჩჟანჩიტუნი იუწყება, რომ იმპერატორის ბრძანება მივიდე, რომლიც მავალებს გაჰხსნა უცხო-ქვეყნელთა სავაჭროდ ვუჩჟოუს ნავთსადგურიო. გაზეთების სიტყვით, მაჰმადიანთა ამბოხება კანსუში საშიშრად ჰმატულობს.

ახლად გახსნილის ხის

ნახშირის საწყობში

(ვერის მოედანზედ, ყაფანთან)

საუკეთესო ღირსების ნახშირი

წონით ისყიდება

ფუთი ათ შაური (50 კ.). მყიდველს მიეცემა ბარათი, რომელშიაც აღნიშნული იქნება რაოდენობა წონისა და მიცემულის ფასისა.

(6—246—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Декабря 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე